



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

## **თაქთაქიშვილი ელიზბარ**

თაქთაქიშვილი ელიზბარ, ქართლის თავადი, 1765 ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე. იყო ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე მსხვილი ფეოდალების ახლო ნათესავი – თ-ის მეუღლე მარიაში გივი ამილახვრის შვილი იყო, ხოლო ასული თინათინი – აღნიშნული შეთქმულების ერთ-ერთი აქტ. წევრის დავით ბატონიშვილის (აბდულაბეგის ძის) ცოლი. შეთქმულების დამარცხების შემდეგ თ-ს ყმა-მამული ჩამოართვეს და სიკვდილით დასაჯეს

---